

ორი შეხვედრა

(გრიგოლ რობაქიძესა და კიტა ჩხენკელთან)

რუსუდან ენუქიძე

თსუ პროფესორ-ემერიტუსი



რეზიუმე: სტატია ეხება 1961 წელს ვენეცასა და ლოზანში ორ გამოჩენილ ქართველ მოღვაწესთან – გრიგოლ რობაქიძესა და კიტა ჩხენკელთან შეხვედრის დღემდე უცნობ დეტალებს.

საკვანძო სიტყვები: გრიგოლ რობაქიძე, კიტა ჩხენკელი

1961 წლის სექტემბერში ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის (ხელმძღ. ი. სუხიშვილი, ნ. რამიშვილი) გასტროლები ჩემთვის განსაკუთრებულად ამაღლეზებელი და საინტერესო აღმოჩნდა. ვენევაში გრიგოლ რობაქიძეს შევხვდი, ლოზანაში – კიტა ჩხენკელს.

ვენევაში გასტროლები დასასრულს უახლოვდებოდა. ორი დღის შემდეგ ლოზანაში მივდიოდით. მოცეკვავე ბიჭებმა მითხრეს, რომ ჩვენს ყველა კონცერტს, და რეპეტიციებსაც კი, გრიგოლ რობაქიძე ესწრებოდა. მათ ეს ფაქტი ჩვეულებრივ ამბად ჩათვალეს, რადგან ევროპაში მოგზაურობისას ძალიან ხშირად, კონცერტის შემდეგ, მოდიოდნენ ქართველები, აღტაცებულნი ანსამბლის წარმატებით; თუმცა თვალები ყოველთვის სევდით ევსებოდათ, როდესაც საქართველოზე და ნათესავებზე ლაპარაკობდნენ. მახსოვს, ძალიან გავუბრაზდი ბიჭებს, რატომ აქამდე არ მითხარით გრიგოლ რობაქიძე თუ დადიოდა კონცერტზე-მეთქი. დამამზვიდეს, ნუ გეშინია, ხვალაც მოვა, მით უმეტეს რომ ბოლო გამოსვლა გვაქვსო.

მართლაც, მეორე დღეს, კონცერტის შემდეგ, ქ-ნ ნინოს და მე გვითხრეს, რომ ბ-ნი გრიგოლი გველოდებოდა ... საშუალოზე მაღალი, გამხდარი კაცი (ნამდვილად არ ჰგავდა 80 წელს გადაცილებულს), ნაცრისფერი გაბარდინის ლაბადაში, შავი პრიალა, გადავარცხნილი თმით და, საოცრად ცივი, გამჭოლი თვალებით (კიდევაც ვიფიქრე, ბიჭებს ალბათ მოეჩვენათ, თორემ ამ თვალებიდან ცრემლი როგორ გადმოვა-მეთქი). როცა მოგვესალმა – ესეც გამიკვირდა, მეგონა ჩვენთან ლაპარაკს საჭიროდ არ ჩათვლიდა ... ცეკვაზე და კონცერტებზე არაფერი არ უთქვამს, უთუოდ იფიქრა (ვინ იცის?), რომ თეატრში ანსამბლთან გატარებული ორი კვირა მისი აღტაცების დასტური იყო. ვუთხარით, რომ მეორე დილით ლოზანაში მივდიოდით. დაგვპირდა, აუცილებლად მოვალ ნავსადგურშიო (ლემანის ტბით უნდა წავსულიყავით). შემდეგ, სრულიად მოულოდნელად, დაიწყო ლაპარაკი, რომ ახლა ვწერ სტატიას, ფრანგი ჟურნალისტების მიერ საქართველოზე გამოქვეყნებული წერილის საპასუხოდო. როგორც გვითხრა, ორ ფრანგ ჟურნალისტს უმოგზაურია საქართველოში, ბევრი რამ კარგი დაწერეს, მაგრამ ბოლოს ასე დაამთავრეს ეს წერილი – “ქართველებს, ჩვენი მარსელელი, კანებიერის ქუჩის მცხოვრებთა მსგავსად (ამბობენ, ფრანგული ანექდოტების უმრავლესობა მათ მიერაა შეთხზული), მიაჩნიათ, რომ სამყარო იწყება და მთავრდება საქართველოშიო. ფრანგების ამ დასკვნას ბატონი გრიგოლი საშინლად გაუბრაზებია და ამან გადააწყვეტინა საპასუხო წერილის დაწერა.

ანსამბლს ძალიან მკაცრი განრიგი ჰქონდა (ქ-ნი ნინოს მიერ კანონად ქცეული) – ავტობუსი გველოდებოდა, სასტუმროში ვახშამი და დროზე თავ-თავის ოთახში დასვენება (ამ დროს ერთმანეთთან სტუმრობაც კი აკრძალული იყო – ეს კანონი არავითარ კორექტირებას არ უშვებდა)... დავემშვიდობეთ ბ-ნ გრიგოლს იმ იმედით, რომ მეორე დილით ნავსადგურში შევხვდებოდით ერთმანეთს... მაგრამ... მეორე დილით წითელი ჯვრის თავსაბურავიანმა ქართველმა ქალმა ბ-ნი გრიგოლის გამოგზავნილი თაიგული გადმომცა და მითხრა, თავად ძალიან ავად შეიქნა და მოსვლა ვერ შესძლოო. ამ

ქალბატონმა ისიც გვამცნო, რომ შალვა დადიანის ერთადერთი კანონიერი მეუღლე გახლდათ (რადგან ჯვარდაწერილი მხოლოდ მასთან იყო).



ლოზანაში პირველივე კონცერტზე ციურიხიდან ჩამოვიდა ბ-ნი კიტა ჩხენკელი თავისი მოწაფეებით, ქართველოლოგი ქალებით (ლეა ფლური, იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი). შესვენების დროს ამ ქალბატონებმა დიდხანს ილაპარაკეს ბ-ნი კიტას მეცნიერულ დამსახურებაზე

(ბევრმა უცხოელმა სწორედ ჩხენკელის „ქართული ენის შესავლით“ შეისწავლა ქართული ენა). როგორც გვითხრეს, ბ-ნი კიტას ახლად დაწყებული ჰქონდა მუშაობა დიდ ქართულ-გერმანულ ლექსიკონზე (ექვსი ნაკვეთის გაკეთება მოასწრო; დანარჩენი ოცი - ი. მარშევის ხელმძღვანელობით დასრულდა 1974 წ.). ამ ქალბატონებმა მოგვიხილეს თავიანთი დამოკიდებულებით საქართველოს და ქართული კულტურის მიმართ - თურმე თვეში ორჯერ აწყობდნენ ქართულ საღამოებს, სტუმრებს ქართული პოეზიის ნიმუშებს აცნობდნენ და თან მათ მიერ გაკეთებული ქართული კერძებით უმასპინძლდებოდნენ. ჩვენი შეხვედრა ციურიხელი ქალბატონების მიერ ლამაზად წარმოთქმული ბარათაშვილის და ბესიკის ლექსებით დამთავრდა.

ლოზანიდან ბრიუსელში გავემგზავრეთ. რამდენიმე ძალიან წარმატებული კონცერტის შემდეგ იმპრესარიომ მოაწყო ანსამბლის შეხვედრა ევროპელ ჟურნალისტებთან; გვითხრეს, რომ ამ შეხვედრას (ბელგიის ერთ-ერთი უძველესი სასახლის დარბაზებსა და ულამაზეს პარკში) ესწრებოდა 2000 კაცი. აქაც ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში, მაყურებლებს და საგაზეთო სტატიების ავტორებს აოცებდათ ქართული ხალხური ცეკვის უნიკალური მახასიათებელი - განსაცვიფრებელი განსხვავება ქალისა და ვაჟის საცეკვაო პარტიებს შორის: ტემპერამენტიანი ვაკუაცი, ფეხის წვერებზე

მოცეკვავე, თითსაც კი არ აკარებს ქალს; ქალი კი – ნაზი, ნარნარი, წყნარი; კულისებში მოსულ მაყურებელს ისიც აინტერესებდა, ფეხსაცმელზე გორგოლაჭები ხომ არ გვექონდა დამაგრებული – ცეკვის დროს ასეთი სვლა ბორბლების გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნდათ.

ამ შეკრებაზე ჩემთან მოვიდა ბ-ნი დავით ბერეკაშვილი, ბრიუსელში მცხოვრები ძალიან ცნობილი ინჟინერი. მითხრა, რომ წერილი მიიღო მისი მეგობარი გრიგოლ რობაქიძისგან, და წამიკითხა ის ადგილი, რომელიც ჩემთვის იყო განკუთვნილი; პირველი ფრაზა ზეპირად მახსოვს (ან კი რა დამავიწყებს!): „ძმაო დავით! ქართული ანსამბლის ბოლო კონცერტის შემდეგ შემოფრქვევით შემომეგება ერთი ასული – რუსუდან ენუქიძემოკლედ გადმოგცემთ რა აინტერესებდა ბ-ნ გრიგოლს: „ამ გოგონას, მისი ასაკის გამო, შეუძლებელია ჩემი წიგნები წაკითხული ჰქონდეს. საქართველოდან წამოსვლის შემდეგ ყველა ჩემი წიგნი დაწვეს. მაშ რამ გამოიწვია მისი დაინტერესება ჩემი პერსონით? გთხოვ ჰკითხო და მაცნობო“. მე ვუთხარი ბ-ნ დავითს, რომ მამაჩემი, პროფესიით ინჟინერი, ლიტერატურის დიდი მოყვარული იყო, გრიგოლ რობაქიძის დიდი თაყვანისმცემელი (არ ვიცი, „ჰიტლერსა“ და „მუსოლინზე“ დაწერილი წიგნების წაკითხვის შემდეგ თუ ისევ ასეთად დარჩებოდა – ნამდვილად არ ვიცი!). „გველის პერანგი“ თითქმის ზეპირად იცოდა, ხშირად მიკითხავდა ნაწყვეტებს. ისიც მახსოვს მამამ ერთხელ მითხრა, რომ რობაქიძეს საქართველოდან წასვლის შემდეგ სტატია დაუწერია, სადაც იმდროინდელ საქართველოს ხეიბრებისა და უგუნურთა მიერ დასაკუთრებულ ქვეყნად თვლიდა – ჯანსაღი და გონიერი მოსახლეობა ბოლშევიკებმა განწყვიტესო. ეს იყო მთავარი მიზეზი სამშობლოდან მისი წასვლისა. ამ ფაქტით უთუოდ იმის ახსნაც შეიძლება, თუ რატომ იყო ასე ადელეგებული და თვალცრემლიანი ანსამბლის კონცერტებზე, სადაც მისი თანამემამულეების – ჯანსაღი და ლამაზი ახალგაზრდების ოსტატობას ოვაციებით ეგებებოდა უცხოელი მაყურებელი.

ბ-ნმა დავით ბერეკაშვილმა საპასუხო წერილი გაუგზავნა გირგოლ რობაქიძეს. სულ მალე მისგანაც მიიღო წერილი თხოვნით, რომ რუსუდანმა აუცილებლად გადასცეს ბ-ნ ვანო ენუქიძეს ჩემი მოკითხვაო.

თბილისში დაბრუნებულმა მატარებლის ფანჯრიდან მამას გადმოვძახე: „მამიკო! გირგოლ რობაქიძემ მოკითხვა შემოგიტვალა“. მამამ მიპასუხა: „ბ-ნი გირგოლი გარდაიცვალა“. გარდაცვალებამდე მწოლიარემ მოასწრო სტატია „ქართული გენი როკვად განფენილის“ დაწერა.

ერთი წლის შემდეგ კიტა ჩხენკელი გარდაიცვალა 68 წლის ასაკში.

**Two Meetings with
Grigol Robakidze and Kita Chkhenkeli**

Rusudan Enukidze

Professor Emeritus, TSU

Abstract: The article deals with hitherto unknown details of the author's meeting in Geneva and Lausanne in 1961 with two eminent Georgian figures: Grigol Robakidze and Kita Chkhenkeli.

Key words: *Grigol Robakidze, Kita Chkhenkeli*

In September 1961 the tour of the Georgian Folk Dance Company (directed by I. Sukhishvili and N. Ramishvili) proved especially exciting and interesting for me: in Geneva I met Grigol Robakidze, and at Lausanne Kita Chkhenkeli.

Our tour in Geneva was coming to an end. In two days we were moving to Lausanne. I was told by the boy dancers that all our concerts, and even rehearsals, were attended by Grigol Robakidze. They took this fact as a matter of course, for during our tours of Europe Georgians, enthusiastic over our company's success, often came to see us after the concert. However, tears welled up into their eyes when speaking about Georgia and their relations. I remember how angry I was with the boys for not telling me about Grigol Robakidze visiting the concerts. They assured me that he would surely come on the following day, for it was our last performance. Really, the next day, following the concert, dear Nino and I were told that Grigol was waiting for us... above average height, a thin man (you would not take him for a man over eighty), in a grey gabardine overcoat, with black glossy combed hair and astonishingly cold gimlet-eyes (I even thought that the boys' story about tears in

those eyes must have been an optical illusion). Upon greeting us, I was surprised that he made no mention of the dance and concerts, he must have thought the fortnight “spent” by him in the theatre with our company was sufficient proof of his enthusiasm. We told him that the next morning we were leaving for Lausanne. He promised to see us off at the pier (we were to cross Lake Lemman). Then, all of a sudden he said that he was writing an article in response to one published by French journalists on Georgia. He said, two French journalists had travelled to Georgia and written many good things, but had concluded their impressions thus: “The Georgians, like the residents of Cannebierre Street in Marseilles (most French anecdotes are said to have been invented by them), believe that the world begins and ends in Georgia”. This conclusion made by the French journalists had got Dear Grigol’s goat and he had decided to write a reply.

The Company had a very tight schedule (turned into a law by Dear Nino): a coach waited for us, supper at the hotel and all went to their rooms without delay (“visiting” one another was forbidden). This regulation allowed no “correction”. We took leave of Dear Grigol in the hope of meeting at the pier in the morning ... But next morning a Georgian woman with a Red Cross cap handed me a garland sent by Dear Grigol, saying: “He felt very ill and failed to come. The lady told us also that she was the only legal spouse of Shalva Dadiani (for she was wedded only to him).

At Lausanne Mr. Kita Chkhenkeli arrived for the concert from Zurich, accompanied by his pupils – Kartvelologists Leah Flury, Jolanda Marchev and Ruth Neukomm. These ladies spoke for a long time about Dear Kita’s scholarly contribution. (Many foreigners had studied Georgian with the help of Chkhenkeli’s “Introduction to the Georgian Language”). We were told that Kita had just begun work on the comprehensive Georgian-German Dictionary (he had time to compile six fascicles: the remaining twenty were completed in 1974 under the direction of J. Marchev.). These ladies charmed us with their attitude to Georgia and Georgian culture. We learnt that twice a month they arranged Georgian evening parties, introducing

specimens of Georgian poetry to the guests and treating them to Georgian dishes made by them. Our meeting with the Zurich ladies was crowned with their fine declamation of verses of Baratashvili and Besiki.

From Lausanne we went to Brussels. After several highly successful concerts, the impresario arranged a meeting of the Company with European journalists. We were told that this meeting (in the halls of one of the oldest palaces and most beautiful gardens of Belgium) was attended by 2000 persons. Here too, like in the whole world, the spectators and authors of newspaper articles were astonished with a unique characteristic of Georgian folk dance – the astounding difference between the dancing parts of male and female: a spiritual young man dancing on his tiptoes doesn't touch the girl even with his finger; the female is gentle, lilting, serene; a spectator in the wings was interested whether we had castors on our shoes, for they thought such movement unimaginable without castors while dancing.

During this meeting, I was visited by Mr. David Berekashvili, a well-known engineer residing in Brussels. He said he had received a letter from his friend Griogol Robakidze. He read the passage in the letter intended for me. I remember the first phrase by heart (how can I forget it!). "Brother David, after the last concert of the Georgian Company, a maiden – Rusudan Erukidze – came up to me with tender affection". In brief, Dear Grigol's query was couched in these words "Owing to her age, this girl cannot have read my books. Following my departure from Georgia all my books were burnt. Then what caused her becoming interested in my person? Please ask her and let me know", I told David that my father, an engineer by profession, was a great lover of literature – a great admirer of Grigol Robakidze (I do not know whether he would remain the same after reading "Hitler" and "Mussolini", I really do not know!). He knew "The Snake Slough" almost by heart. He often read for me passages. I also remember father's words that after leaving Georgia, Grigol Robakidze had written an article in which he considered Georgia a country taken over by cripples and fools - for

the Bolsheviks had exterminated the able-bodied and reasonable population. This was the principal reason for leaving his homeland. This can doubtless explain why he was excited and teary-eyed at the concerts of the Company where he witnessed the ovation with which the foreign audience greeted the skill of the healthy and handsome youth of his compatriots.

David Berekashvili wrote back to Grigol Robakidze, and soon received a letter from him, with a request to Rusudan to convey his kind regards to Mr. Vano Ehlukidze.

Returning to Tbilisi, I shouted from the window of the train to my father: "Daddy! Grigol Robakidze has sent you his best regards". He answered: "Dear Grigol is dead". Before his death, bedridden, he had time to write the article, "Georgian Gene Expanding in Dance".

Kita Chkhenkeli died within a year at the age of 68.

საგამომცემლო ინფორმაცია

ქართველოლოგია ფართო გაგებით ნიშნავს ქართული კულტურის, ისტორიისა და ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული ჰუმანიტარული სფეროს სხვა დარგის შესწავლას. ესენია: ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნება, არქეოლოგია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და სხვ.

ჟურნალი „ქართველოლოგი“ წელიწადში ორჯერ გამოდის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. 1993-2009 წლებში იგი მხოლოდ ბეჭდურად გამოდიოდა (NN 1-15). გამომცემელია „ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი“ (თსუ), ფინანსური მხარდამჭერი „ქართველოლოგიური სკოლის ფონდი.“ დამაარსებელი და მთავარი რედაქტორია ელგუჯა ხინთიბიძე. 2011-2013 წლებში ჟურნალი ფინანსდება საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის, რუსთაველის ფონდის გრანტით.

„ქართველოლოგი“ ორენოვანი (ქართული და ინგლისური), პროფესიული და აკადემიური ჟურნალია. ქართველოლოგიის დარგში მეცნიერული სიახლეების დანერგვასთან ერთად იგი მიზნად ისახავს ქართველ მკვლევართა ნარკვევების პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე და საზღვარგარეთული ქართველოლოგიური მეცნიერების გავრცელებას ქართულ სამეცნიერო წრეებში.

სარედაქციო კოლეგია:

ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი უცხოელი ავტორები თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად არიან „ქართველოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები, აქტიური მონაწილენი ჟურნალის სამეცნიერო სტილისა და ფორმის ჩამოყალიბებაში, სამეცნიერო სტატიების ავტორები, ზოგიერთ შემთხვევაში გამოსაქვეყნებელი სტატიების რეცენზენტები და თავიანთ ქვეყნებსა და სამეცნიერო ცენტრებში ქართველოლოგიის პრობლემატიკის პოპულარიზატორები.

მთავარი რედაქტორი: ელგუჯა ხინთიბიძე

ინგლისური ტექსტის რედაქტორი: არიანე ჭანტურია

ბახტაძე მიხეილ (ისტორია) – საქართველო; ბეინენი ბერტ (რუსთველოლოგია) – აშშ; ზოდერი ვინფრიდ (ენათმეცნიერება) – გერმანია; ბუაჩიძე გასტონ (ქართველოლოგი) - საფრანგეთი; დობორჯგინიძე ნინო (ენათმეცნიერება) - საქართველო; ენოხი რუვენ (ქართული ენა, ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობები) – ისრაელი; კოჯიმა იასუჰირო (ქართველური ენები) – იაპონია; კუდავა ბუბა (ხელნაწერთმცოდნეობა) – საქართველო; ლიჩელი ვახტანგ

(არქეოლოგია) – საქართველო; მაგაროტო ლუიჯი (ქართული ლიტერატურა) – იტალია; მელიქიშვილი დამანა (ქართული ენა) – საქართველო; ნიკოლეიშვილი ავთანდილ (ქართული ლიტერატურა) – საქართველო; ნოგუნი პრემისლავ (არქეოლოგია) – პოლონეთი; რატიანი ირმა (ლიტერატურათმცოდნეობა) – საქართველო; სიხარულიძე ქეთევან (ფოლკლორი) – საქართველო; ტიუიტი კვეინ (ეთნოგრაფია და ფოლკლორი) – კანადა; უტიე ბერნარდ (მედიევისტიკა) – საფრანგეთი; ფეინრიხი ჰაინც (ქართული ენათმეცნიერება) – გერმანია; შურღაია გაგა (ქართული ლიტერატურა) – იტალია; ჩიხლაძე ნინო (ქართული ხელოვნების ისტორია) – საქართველო; ხოტივარ-იუნგერი შტეფი (ქართული ლიტერატურა) – გერმანია.

ქურნალის თითოეული ნომრის მომზადებას და გამოქვეყნებას ახორციელებს გამგეობა: ხინთიბიძე ელგუჯა, ჰანტურია არიანე, ჩაკუნაშვილი ნინო, ჯავახაძე ირინა, გულაშვილი სოფიო, ვარდოსანიძე ცირა.

© ქართველოლოგი

ქართველოლოგიური სკოლის ფონდი
13, ი. ჭავჭავაძის გამზირი, თსუ
0179, თბილისი, საქართველო
ტელ.: 99532 2 29 08 33;
ფაქსი: 99532 2 25 25 01
ელფოსტა: kartvcentre@hotmail.com;
kartvelologist@gmail.com
ვებგვერდი: kartvfund.org.ge;
kartvelologi.tsu.ge

© KARTVELOLOGIST

Fund for Kartvelian Studies,
13, I. Chavchavadze Ave., TSU
0179, Tbilisi, Georgia
Tel.: 99532 2 29 08 33
Fax: 99532 2 25 25 01
Email: kartvcentre@hotmail.com;
kartvelologist@gmail.com
Website: kartvfund.org.ge;
kartvelologi.tsu.ge

უკ (UDC)821.353.1+811.353.1+008(479.22)

ქ - 275

ISSN 1512-1186